



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 22
28/06/2019

22-09-4-201906281857



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 14/02/2018, 210020030.35.163.016391).

1. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს 1 (ერთი) ლარის ოდენობით.“.

2. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებას დაემატოს მუხლი 2¹ შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2¹

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის განისაზღვროს 1 (ერთი) ლარის ოდენობით.“.

3. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებას დაემატოს მუხლი 2² შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2²

ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით, III კლასის ობიექტებისთვის – 200 (ორასი) ლარით, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის – 400 (ოთხასი) ლარით.“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

